



# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი № 1  
§ 1

„11“ მაისი 2015 წ.

### საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა შორის უფლებამოსილებათა განაწილების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ თავისი უფლებამოსილებების ეფექტიანად განხორციელების, ფუნქციური მოვალეობების გამიჯვნისა და კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილების 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის საფუძველზე,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა განახორციელოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმიანობის საერთო კოორდინაცია, ამასთან, უშუალოდ წარმართოს:
  - საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და შესაბამისი დოკუმენტების პროექტების მომზადების ხელმძღვანელობა;
  - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საფინანსო საქმიანობა;
  - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოხელეთა შერჩევის მიზნით ორგანიზებული კონკურსებისა და ატესტაციების ჩატარების ხელმძღვანელობა;
  - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის ორგანიზება.
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა (კახა სოფრომაძე, შოთა გეწაძე) განახორციელონ:
  - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის კურატორობა;
  - მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი წერილებისა და დოკუმენტების პროექტების ვიზირება.
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა (გოჩა მამულაშვილი, პაატა სილაგაძე) განახორციელონ:
  - სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის კურატორობა;
  - მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი წერილებისა და დოკუმენტების პროექტების ვიზირება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა (ვახტანგ თორდია, თამარ ალანია) განახორციელონ:

ა) საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის კურატორობა;  
ბ) მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი წერილებისა და დოკუმენტების პროექტების ვიზირება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა (ევა გოცირიძე, ილონა თოდუა) განახორციელონ:

ა) მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის კურატორობა;  
ბ) მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი წერილებისა და დოკუმენტების პროექტების ვიზირება.

6. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა (ვახტანგ მჭედლიშვილი, მერაბ გაბინაშვილი) განახორციელონ:

ა) ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის კურატორობა;  
ბ) მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი წერილებისა და დოკუმენტების პროექტების ვიზირება.

7. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ან წევრის არყოფნის შემთხვევაში შესაბამისი უფლებამოსილებების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვა წევრზე დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

ლევან მურუსიძე

